PDF Eraser Free

დანართი №2

ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

ირმა არსენაშვილი

თბილისი 2021 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 16 მარტს წარდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. 2021 წლის 17 მარტს შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს გაეგზავნა ხარვეზის წერილი, ხოლო მიმდინარე წლის 29 მარტს პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოაგზავნა კორესპონდენცია ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 აპრილის N 316900 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შეადგინეს და ცენტრის წარმომადგენლის დახმარებით დაწესებულებასთან შეათნხმეს განრიგი. 2021 წლის 17 აპრილს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხილვის მიზნით განრიგის მიხედვით ჩატარდა დისტანციური გასაუბრება-დათვალიერება, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, მატერიალური რესურსების კოორდინატორს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, დაათვალიერეს დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში ასევე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით მე-2 სტანდარტის 2.1. და 2.4. ქვესტანდარტი შეფასდა როგორც შეუსაბამო, ვინაიდან 2.1.1.1, 2.1.1.3, 2.1.1.8, 2.4.2.2 და 2.4.2.3 ინდიკატორებში დაფიქსირდა ხარვეზები.

მათგან 2.1.1.1 ინდიკატორში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გამოსწორებული იქნა საკუთარი შეცდომა, შეცვლილი იქნა შეფასება და ნაცვლად სრულად შეუსაბამობისა 2.1.1.1. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი, ვინაიდან ექსპერტებს ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტი - შრომის ბაზრის კვლევა არ ჰქონდათ შესწავლილი და ასახული ინდიკატორის შეფასებისას.

რაც შეეხება დანარჩენი ინდიკატორებში დაფიქსირებულ ხარვეზებს, ისინი დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგადაც დარჩა უცვლელი, ვინაიდან დაწესებულების შეფასებისას ავტორიზაციის ექსპერტებმა იხელმძღვანელეს განაცხადითა და მასზე თანდართული დოკუმენტაციით, ასევე ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში გადმოგზავნილი დოკუმენტებით და არ გაითვალისწინეს არგუმენტირებული პოზიციის გამოხატვისას მტკიცებულებებად წარმოდგენილი იგივე დასახელების დოკუმენტები, რომლებიც შინაარსობრივად განსხვავდებოდა მანამდე ექსპერტთა მიერ შესწავლილისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.1.1.3.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

2.1.1.8.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები დაწესებულების მიერ არ არის ადაპტირებული პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე;

2.4.2.2.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.4.2.3.

დაწესებულებას არ აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვალდებულება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.3.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა საჭიროა დაეყრდნოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას;

2.1.1.8.

დაწესებულებამ საჭიროა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინოლოგია მოიყვანოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობაში;

2.2.1.8.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას;

2.4.2.2.

დაწესებულებამ საჭიროა შეიმუშავოს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სამი მიმართულებით ვერიფიკაციის განხორციელება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნულ მექანიზმში განსაზღვროს ვერიფიკაციის პროცედურები, ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ისეთი შიდა ვერიფიკატორის შერჩევა, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მე-5
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N6 19.02.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. საგარეჯო ლეონიძის 33ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	არ შეესაბამება
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	სრული
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში შემუშავებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 24 ივლისს სსიპ - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 27-ით. აღნიშნული მეთოდოლოგიის მუხლი 1 ეძღვნება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცედურას. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა ავტორიზაციის გზით დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ შემუშავების დროს აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენების საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის მოთხოვნა შემდეგნაირად იყო აღწერილი ,,მისი განხორციელების დასაბუთების მიზნით კოლეჯს შრომის ბაზრის კვლევა არ წარმოუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის მუხლი 1-ის 1.1. პუნქტის მიხედვით "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური მოიპოვებს სტატისტიკურ მონაცემებს შრომის ბაზრის კვლევისა და დასაქმების მაჩვენებლების შესახებ და ინიცირებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს პროგრამის დამატების შესახებ". თუმცა, პროგრამის განხორციელების მიზნაშეწონილობაში აღწერს ვეტერინარების მომზადების საჭიროებას რეგიონალური სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი მდებარეობს კახეთში, რომელიც ძირითადად სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის რეგიონია და არის მეცხოველეობის კერძო ფერმები, ხორციელდება ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი მონიტორინგი, ვეტერინარულ დახმარებები.

განსახილველი ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, ვინაიდან დაწესებულებამ გადაწყვეტილება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ უნდა მიიღოს შრომის ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით, რაც წარმოდგენილი ვერ იქნა მათ მიერ, <u>კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ არ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამით დაწესებულებამ დაარღვია საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის“ მუხლი 1-ის 1.1. პუნქტის მოთხოვნაც.“ კოლეჯის მისიაში ჩანს, რომ დაწესებულება მრავალპროფილურია, ხოლო სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გამოსწორებული იქნა საკუთარი შეცდომა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ექსპერტებს ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტი - შრომის ბაზრის კვლევა - არ ჰქონდათ შესწავლილი და ასახული ინდიკატორის შეფასებისას. დაწესებულების მიერ ონ-ლაინ ჩართვის დროს დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში ,,შრომის ბაზრის კვლევა“ აღწერილია ყველა ის ვითარება, რომელიც ადასტურებს საგარეჯოში მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში ვეტერინართა მომზადების საჭიროებას. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შეცვლილი იქნა შეფასება და ნაცვლად სრულად შეუსაბამობისა 2.1.1.1. ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.</u>

2. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები გამჭვირვალეა, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი 2019 წლის 26 სექტემბრის დირექტორის ბრძანება N78-ით დამტკიცებული ,,შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულებაში“ მოცემული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად, სადაც გამიჯნულია აპლიკანტთა სახელმწიფო დაფინანსების გარშე ჩარიცხვის წესი აპლიკანტა სახელმწიფო დაფინანსებით ჩარიცხვის წესი. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს აპლიკანტთა ჩარიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ვეტერინარია“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ წინაპირობებთან, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი ,,პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არ წარმოადგენს უნიფიცირებულ წესს და მასში მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ვეტერინარია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დათვლის მიდგომები. დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პროგრამის სპეციფიკა და კოლეჯის რესურსები მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ცვლებში სწავლების შესაძლებლობა. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას არ ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების მიხედვით შეთანხმებული ადგილების რაოდენობის მიხედვით სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობას და პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკმარისობის პირობის საკითხებს, ასევე აღნიშნული დოკუმენტი არ ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებიდან შეკრებილ ინფორმაციას პროგრამით განსაზღვრული მოსამზადებელი სპეციალისტების მოთხოვნადობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ავტორიზაციის ექსპერტთა აზრით, დაწესებულებამ აუცილებელია შეიმუშავოს უნიფიცირებული დოკუმენტი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ, რომელშიც მოხდება იმ აუცილებელი კრიტერიუმების განსაზღვრა რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ პროფესიულ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კოლეჯს ასევე წარმოდგენილი აქვს ,,პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება“, რომელშიც მოტანილი აქვს ინფორმაცია დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ პროგრამებზე გადანაწილების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისთვის დაეყრდნენ კოლეჯის რესურსებს.

ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული გამომდინარე იქიდან, <u>რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და</u> შესაბამისად, კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა არ ეყრდნობა მას, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დაწესებულებას აქვს საკმარისი რესურსები პროფესიულ პროგრამაზე განესაზღვრა პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 20 პროფესიული სტუდენტის რაოდენობით.

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასების გადახედვისას არ იქნა მხედველობაში მიღებული, ვინაიდან იგი შინაარსობრივად განსხვავდებოდა ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში წარმოდგენილი იგივე დასახელების დოკუმენტისგან.</u>

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა დისტანციური წარმოების ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 19 თებერვლის N6 ბრძანებით შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის N 29 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესების“ მუხლი 1-ის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის „ვეტერინარია“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 19 თებერვლის N6 ბრძანებით დამტკიცებული მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ და მისი მოდულები საჭიროებს ადაპტირებას. **დაწესებულებამ აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საჭიროა შეიმუშავოს პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად**, კერძოდ დაწესებულებას პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუხლი 1. პუნქტში 1.2. მითითებული აქვს შემდეგი: ,,პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტის / ჩარჩო დოკუმენტის/ საფუძველზე.“ აქვე აღნიშნავენ კოლეჯის რესურსების შესაბამისობაზე დასამატებელი პროგრამის მიმართებაში. ასევე დაწესებულების მთავარი დებულების მუხლი 22 - ,,პროფესიული პროგრამის დებულება“-შიც გაწერილია: "კოლეჯი ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს " (პუნქტი 1); "მოდულური პროგრამების შემთხვევაში დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია: სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთვრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, პროგრამის განხორციელების გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ" (პუნქტი 2). თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ აქვს წარმოდგენილი და მის ნაცვლად ჩარჩო დოკუმენტი აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი არ იცავენ საკუთარი რეგულაციების მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ამავე დროს, **დაწესებულებამ საჭიროა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინოლოგია მოიყვანოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობაში.** მაგ. კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში ალაგ - ალაგ არის დაშვებული უზუსტობები და საჭიროა ნაცვლად ტერმინისა ,,სტუდენტი" ყველგან გამოიყენოს ტერმინი ,, პროფესიული სტუდენტი", ნაცვლად ,,მასწავლებელი" - ,,პროფესიული განათლების მასწავლებელი", ნაცვლად ,,სმენა" -,,ცვლა" და ა.შ.

<u>განსახილველი ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები დაწესებულების მიერ არ არის ადაპტირებული პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.</u> განსახილველი ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის **დაწესებულებამ საჭიროა პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოდულების ადაპტირება საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.**

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასების გადახედვისას არ იქნა მხედველობაში მიღებული, ვინაიდან წარმოდგენილი იქნა იგივე დოკუმენტი რაც დახარვეზდა.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 9 სექტემბრის N 46&2 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ვებგვერდი http://iliaedu.ge/
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია"დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 19 თებერვლის N6 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულება“;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N 27 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის N 29 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;
- პროგრამის „ვეტერინარია“ მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ,,პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება“
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა დისტანციური წარმოების ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან.

   ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 20 პროფესიული სტუდენტისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A , B და C გარემოები 10-10 პროფესიულ სტუდენტის ადგილებით. A და B გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო (სასწავლო / პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის) - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს შემდეგი ხელშეკრულებები, თანდართული საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსების ჩამონათვალით, რომელიც გამოიყენება პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის:

- **საგარეჯოში მდებარე შპს ვეტებთან**, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი,კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია; ცხოველთა მკურნალობა. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- **ინდ.მეწარმე „ზვიად სიბოშვილთან“** , რომელიც მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფ.პატარძეულში.აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა; ცხოველთა კვება. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- **შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელთან**“, რომელიც მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფ.თოხლიაურში. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულისთვის - ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- **საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 7 ში მდებარე შპს „მატადორთან**“, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის - ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლი. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის “ვეტერინარია“ განაცხადში დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა. ასევე, ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა რომ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების უმეტესობა დასაქმებულნი არიან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებებში, აქვთ პროფესიული პროგრამების განხორციელების გამოცდილება და გავლილ აქვთ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ტრენინგები. დაგეგმილია მომავალშიც მათი განვითარების ღონისძიებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N 27 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის“ 1.2 მუხლის შესაბამისად პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით, რომლის შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას. პროგრამის ხელმძღვანელს ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა. ასევე კოლეჯის მთავარი დებულების 22-ე მუხლში ,,პროფესიული პროგრამის დებულება“ და 25-ე მუხლში ,,პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის დებულება“ გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლითა და ინტერვის ფარგლებში გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დადასტურდა რომ იგი წარმოადგენს ვეტერინარიის დარგის წარმატებული სპეციალისტს, არის ძალზე მოტივირებული, იცნობს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს და აქვს მზაობა პროგრამას გაუწიოს ხელმძღვანელობა დაწესებულების დადგენილი წესების შესაბამისად.

5. დისტანციური გასაუბრების დროს/ჩართვის დროს ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დისტანციური წარმოების ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. დაწესებულების ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა სასწავლო რესურსები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცული სასწავლო რესურსები (ლიტერატურა, რიდერები) შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებულ „შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულება“-ში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

   კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის კოლეჯში შემუშავებული იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. სსსმ სტუდენტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაფუძნებული იქნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულზე და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ოდენობა: შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია 33524 ლარი და ხარჯების ნაწილში კი 21424 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მდგრადობას დაფინანსების მიხედვით საფრთხე არ ემუქრება. პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად მითითებულია 20%, რაც ბუნდოვანია. **დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“, მოდულები, სასწავლო გეგმა;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულება“;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N 27 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N 6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ დამტკიცების აქტი;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის N 29 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N 28 ბრძანებით დამტკიცებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის N 24 ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N 72 ბრძანებით დამტკიცებული ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმი სსსმ და შშმ პირებისათვის;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულება“. მასში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ვალდებულებები. დოკუმენტი ძალზე ზედაპირულია, არ მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას, მხოლოდ ჩამონათვალის სახითაა ხელმძღვანელის და სპეციალისტის ვალდებულებებში ჩაშლილი მათ მიერ შესასრულებელი აქტივობები.
   კოლეჯი ახორციელებს გამოკითხვებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს და დაწესებულების მთავარ დებულებაში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი შემდეგი კითხვარები პროგრამის შეფასების მიზნით: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კითხვარი; პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი; კალენდარული გეგმის შემოწმების კითხვარი; პოტენციური დამსაქმებლის შეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულის შეფასების კითხვარი. რომელთა საშუალებით ხდება ინფორმაციის შეგროვება პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსის შეფასების და სხვ. კოლეჯის ხარისხის სამსახური ახორციელებს აღნიშნული კითხვარების დამუშავებას, ანალიზს და რეკომენდაციების წარდგენას კოლეჯის ადმინისტრაციის საბჭოსთან. პროგრამის შეფასების მექანიზმი გაწერილია კოლეჯის მთავარ დებულებაში და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში“, რომლის მიხედვით ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, ხოლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ხელმძღვანელმა ინტერვიუში ხაზი გაუსვა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის მნიშვნელობას პროგრამის განვითარებისთვის.

2. შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის N 29 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები“-ს მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. დოკუმენტის მე-2 მუხლში გაწერილია ინფორმაცია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ და არსებული პროგრამების გაუქმების შესახებ. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის შემოწმების თანამიმდევრობის, შესამოწმებელი ობიექტის და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრასა და შემუშავებას. პროგრამების გამხორციელების შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პროგრამა ახალია, რის გამოც პრაქტიკის გადამოწმება ვერ განხორციელდა, თუმცა, შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი მთავარი დებულება“;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის N29 ბრძანების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“ ;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზი. იგი განხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით.
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი მთავარი დებულებაში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ონლაინ ჩართვის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „ვეტერინარია“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს მასწავლებლების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში.
4. კოლეჯის მისიაში მითითებულია, რომ კოლეჯი ,,იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლის პირობების შესაქმნელად“, დაწესებულების მთავარ დებულებაში გაწერილია შესაბამისი მექანიზმი და მოდულებში მითითებულია, რომ ,,შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მოდულზე დაიშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე“. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ აქამდე პრაქტიკაში არ ჰქონიათ მსგავსი საჭიროება, თუმცა, გამოიკვეთა მათი მზაობა გათვალისწინებული იქნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ საწარმოებთან: შპს ვეტები, [redacted] შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივი „მომშენებელი“და შპს „მატადორი“, რაც დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით, რომლებშიც მითითებულია ურთიერთთანამშრომლობის ყველა ძირითადი ასპექტი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მოდულების დასახელება, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ და სხვ. ;
6. შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

სპეციფიკური უსაფრთხოების წესები გამოკრულია C გარემოში და პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი. პრაქტიკის ობიექტზე, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, წარმოებიდან მომაგრებული პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ სასწავლო გეგმა,მოდულები;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულება“
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც წარმოდგენილია დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი მთავარ დებულებაში. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია თუ პროცედურები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობისა და რაოდენობის შესახებ.

   საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელს განემარტა, რომ საჭიროა **შეიმუშავოს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სამი მიმართულებით ვერიფიკაციის განხორციელება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნულ მექანიზმში განსაზღვროს ვერიფიკაციის პროცედურები, ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ისეთი შიდა ვერიფიკატორის შერჩევა, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.**

   <u>განსახილველი ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული რადგან დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი;</u>

   <u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასების გადახედვისას არ იქნა მხედველობაში მიღებული, ვინაიდან</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

<u>დაწესებულებას არ აქვს გააზრებული ვერიფიკაციის არსი და წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ვერიფიკაციის მექანიზმად. კერძოდ, მასში არ არის დარეგულირდებული ვერიფიკაციის პროცესისთვის საჭირო წესები და პრინციპები, ვერიფიკაციის მიმართულებები, რისკების სისტემა, ვერიფიკაციის შემდგომი მექანიზმები.</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სასწავლო პერიოდის დასრულებამდე კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი მთავარი დებულების საფუძველზე (მუხლი 16, პუნქტი 3.2.), ხოლო სტუდენტთა შეფასების უწყისების შენახვის ვადა არ არის გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მტკიცებულებებსაც და უწყისებსაც უვადოდ ინახავენ, თუმცა, მათ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განემარტათ, რომ **საჭიროა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვალდებულება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

<u>განსახილველი ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულებას არ აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვალდებულება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.</u>

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასების გადახედვისას არ იქნა მხედველობაში მიღებული, ვინაიდან იგი შინაარსობრივად განსხვავდებოდა ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში შესწავლილი იგივე დასახელების დოკუმენტისგან, რომელიც ატვირთული იყო კოლეჯის ვებგვერდზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუზე, ონ-ლაინ ჩართვის ფარგლებში დამატებითი დოკუმენტების სახით არ იქნა წარმოდგენილი ცვლილება კოლეჯის მთავარ დებულებაში.</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

რეგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის ,,სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 2, პუნქტი 2.2-ის შესაბამისად. პროგრამა ახალია, რის გამოც პრაქტიკის გადამოწმება ვერ განხორციელდა, თუმცა, შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება გაანალიზებს პროფესიული სტუდენტების მიღწევებს და გამოიყენებს შემდგომში მათი განვითარებისთვის.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ სასწავლო გეგმა, მოდულები;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N 78 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მთავარი დებულება“ ;
- შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N 27 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

28.05.2021 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------